უფროსს აგენტს ბ-ნს ვოსკრესენსკის თავი დაუნებებია თავისის თანამდებობისათვის, რადგანაც სალიანში კერძო კაცთან უშოვნია სამსახური („Нов. Обоз“).

*** აჯიქაბული: 5 თებერვალს, ღამის 10 საათზედ, ცოტას გაწყდა დიდი უბედურება არ დატრიალდა აჯიქაბულის სადგურზედ: სადგურის ბუხრის ამყოლში გამოჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე გააქრო სადგურის ხალხმა. ზარალი ოცს თუმანზედ მეტი არ უნდა იყოს. მალე რომ არ გაეგოთ, შესაძლო იყო სამას თუმნად ღირებული სახლი სულ ერთიანად გადამწვარიყო და რკინის გზას დიდი ზარალი მისცემოდა.

*** ერევნიდგან სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“-ს: ამას წინად აქ ბევრი ბამბა მოიტანეს ნახიჩევნიდგან გასასყიდად, მაგრამ რიგიან ფასად ვერ გაუყიდნიათ. ბამბის ფასმა 7 მან. 40 კაპეიკიდგან 6 მ. 40 კაპეიკამდე დაიწია, მაგრამ მყიდველი მაინც ძლიერ ცოტაა, ასე რომ ბამბის ვაჭრები, უეჭველია, ბევრს იზარალებენ.

*** 8 მარტს, დილის 11 საათზედ, სოფ. სხვავის მცხოვრებელი არსენ მეტრეველი რიყეზედ გახურებულს თონეში ჩავარდა უეცრად და დაიწვა მარჯვენა ხელი. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

*** 7 მარტს ორთაჭალის ბაღთან მტკვარში ნაპოვნი დამრჩვალი გვამი აღმოჩნდა ერევნის ვაჭრის კარაპეტ ჯანიბეგოვის შვილი სტეფანე, რომელიც წარსულს დეკემბერს ავლაბრის ხიდიდგან გადავარდა მტკვარში.

*** 7 მარტს, საღამოს 8 საათზედ, მიხეილის ქუჩაზედ დარჩო არუთინოვის მოჯამაგირე, რაჭის მცხოვრები არჩილ ზეკანის ძე გელბიხიანი, 12 წლისა, წაეჩხუბა ტფილისის მოქალაქეს გიგო კარაპეტოვს და მარცხენა ბარძაყში სუმბუქად დასჭრა.

*** 7 მარტს, საღამოს რვა საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ მცხოვრებმა იაგორ პარუნსარქისოვმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ ჩემ შინ არ ყოფნის დროს ვიღაცამ კამოდიდგან 226 მანათი და 48 მანათად ღირებული ხალიჩა მომპარაო. ეჭვი სოფ. ახალშენის მცხოვრებ ვასილ ფილიშვილზედ გამოაცხადა, რომელიც პოლიციამ უკვე დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძად ჰოდპოლკოვნიკობა: გორის სათადარიგო ქვეითა ჯარის ჰოლკის კაპიტანს კანდელაკს და ახტანის სათადარიგო ქვეითა ჯარის ჰოლკის კაპიტანს ჩაჩიკაშვილს.

დანიშნულ იქმნენ რკინის გზის ფოსტის მოხელეებად: მელიტონ დოლაბერიძე და დარისპან ნემსაძე.

## ბამბის თესვისა და მოყვანის შესახებ ჩვენში.

გაზ. „მეურნეს“ ახალს ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი არ. ფირალოვისა ბამბის თესვისა და მოყვანის შესახებ ჩვენში. მოგვყავს ეს წერილი სრულიად და იმედია, მკითხველები არ დაგვემდურებიან ამისათვის. აი ეს წერილი:

რაც-კი ჩითის საფეიქრო ქარხნეულობამ ფეხი მოიკიდა რუსეთის სახელმწიფოში, მას აქეთ თავისის უმთავრესის მასალის — ბამბის უპირველეს წყაროდ ჩრდილოეთ ამერიკის მეურნეობა გაიხადა. ჯერ ამ ჟამადაც რუსეთის საფეიქრო მექარხნეებს ვერ უპოვნიათ სხვა ადგილი და კიდევ დიდი ხანი გავა, ვიდრე თავიანთ დამოკიდებულებას მოსპობენ ამერიკის ფერმერებთან, თუმცა თვით რუსეთში დიდ-ძალი ადგილები მოიპოვება, სადაც მშვენივრად მოდის ბამბა. ეს ბამბა თავისის ღირსებით, როგორც თვით მექარხნეები ამბობენ, სრულიად არ ჩამოუვარდება ამერიკულს ბამბას, თუმცა ამერიკის ბამბა მოჰყავთ ხოლმე უფრო განკარგებულის ტეხნიკის შეწეობით. რა არის მართლა მიზეზი ამ, ერთის შეხედვით, საკვირველის ამბისა, რომ ჩვენი ბამბა-კი ვერ მიგვიწოდებია მოსკოვის საფეიქრო ქარხნებისათვის და დიდად დაშორებული ამერიკის ფერმერები მშვენივრად აადვილებენ ჩვენთვის ამ გვარად გაძნელებულს საქმეს?

ერთმა მეურნეობის კარგმა მცოდნემა სთქვა, რომ „როდესაც პურს ფასი დაედება ხოლმე, მაშინ უნაყოფო მინდვრებიც ნაყოფიანად გადაიქცევაო“. მართლაც-და, მეურნეობის აღორძინება და წარმატება შეუძლებელია, თუ მეურნეთა მიერ ნაწარმოებს ნივთიერებას ფასი არა აქვს. ყოველი მიწის-მომქმედი კაცი სცდილობს ის მცენარე მოიყვანოს, რომელსაც უფრო უკეთესი გასავალი აქვს, უკეთესი ფასი, და ამითი სხვა მცენარეებთან შედარებით უკეთ აჯილდოვებს მიწის-მომქმედს მუშაკს. ამ საეკონომიო კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო მრეწველობაში, ერთხელ და სამუდამოდ ჰსუფევს და მეფობს და ყოველს მცენარეს დროს შესაფერად სათანადო ადგილს უთმობს მთელის ქვეყნის მინდორსა და ბოსტანში. თითქმის მთელის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს იმდენად ნაკლები პურეულობა მოჰყავთ ხოლმე თავიანთს მინდვრებზედ, რომ თუ სხვა ქვეყნების ნაწარმოები პური არ იყიდეს, ხალხი შიმშილით დაიხოცება. ინგლისს, სხვათა შორის, პურის სიცოტავით უპირველესი ადგილი უჭირავს, მაგრამ ინგლისში ამ ჟამად არამც თუ არა სცდილობენ მომეტებულის პურის მოყვანას, არამედ უფრო აკლებენ და აცოტავებენ ხოლმე ყანებს. უმთავრესი მიზეზი ამ გვარის მოვლენისა ის არის, რომ ამერიკული პური ინგლისელებს ძალიან იაფად უჯდებათ და ამის გამო თითონ სცდილობენ მოაშენონ უფრო საუკეთესო ჯიშის ძროხა, ფური, ღორი, ცხენი და ცხვარი, რადგან ეს საქმე უფრო უკეთესად აჯილდოვებს მიწის-მომქმედს მუშა-კაცს.

იმერეთში დიდი ხანია, რაც ბამბის მოყვანას მისდევს იქაური გლეხკაცობა, მაგრამ აქამდის ჯერ ამ მცენარეს იმდენად არ მოუკიდნია ფეხი იქაურს მინდვრებზედ, რომ რიგიანად ჩაუდგეს ხალხის ეკონომიურს კეთილდღეობას საძირკველში, განაძლიეროს გლეხთა შემოსავალის წყარო და დიდად ტანჯულს სოფლის მუშას სული მოაბრუნებინოს.

თუ ბამბას აქამდე ვერ დაუჭერია სათანადო ადგილი იმერეთის მეურნეობაში, ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ბამბას ფასი არა აქვს. ამ აზრის დასამტკიცებელს საბუთებსაც ვიპოვნით, ცოტა რომ თვალი გადავავლოთ ბამბის მოყვანის მოკლე ისტორიას იმერეთის მიწაწყალზედ.

ჩრდილოეთ ამერიკელებმა წარსულს საუკუნეში დაიწყეს ბამბის ზიდვა ევროპაში და ისე მიაჩვიეს ევროპის ჩითეულობის საფეიქრო ქარხნები თავიანთს ნაწარმოებს ბამბას, რომ როდესაც ამერიკის შტატებს შორის ჩამოვარდნილმა არეულობამ და შინაურმა ამბოხებამ შეაფერხა ბამბის მოყვანისა და მისის ევროპაში გატანის საქმე, 1859 წელს, ევროპის საფეიქრო მექარხნეები, მეტადრე ინგლისისა, დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ. საფეიქრო ქარხნებს ველარსად ეშოვნათ, ბამბა-ჩითეულობის წარმოებამ ძალიან იკლო და დიდი ფასი დაედო ჩითსაცა და ბამპასაც.

სამრეწველო ნიჭმა და გენიოსობამ ინგლისელებისამ მაინც კიდევ იჩინა თავი და არ დაუვარდა ამ უბედურებას. ერთბაშად დააარსეს საზოგადოება „Cotton supply association“ — „ბამბის შემოტანის დამხმარებელი საზოგადოება“, რომელმაც ინგლისში დიდი ფული შეაგროვა და სცდილობდა გაევრცელებინა ბამბის მოყვანა მთელს ქვეყნიერებაზედ, ყველგან, სადაც-კი ჰავა და მიწა-წყალი ხელს უწყობდა ამ მცენარის მოყვანას. თესლსა, მაშინებსა, მშვენივრად შედგენილს ბამბის მოყვანის სახელმძღვანელოებსა და აგენტებს ჰგზავნიდნენ აფრიკისა, ავსტრალიისა, აზიისა და ამერიკის სხვა-და-სხვა ადგილას. ბევრგან მიჰყვეს ხელი ბამბის მოყვანას და ინგლისის საფეიქრო ქარხნებს მასალა მოემატა. ბამბის ნაკლებულობით საერთოდ გამოწვეულმა გაჭირვებამ ბამბის მოყვანის საქმე ჩვენშიაც გაალვიძა, როგორც მოგვითხრობს ბ-ნი ი. ს. ხატისოვი თავისს პატარა წიგნაკში („О развитіи культуры и торговли хлопкомъ въ Закавказскомъ краѣ“,. Тифлисъ, 1865 г.). 1852 წ. ჩვენის ქვეყნიდგან პირველად გაიგზავნა საზღვარ გარეთ (სტამბოლში) 6.000 ფუთი ბამბა. რაკი ერთხელ ჩვენმა ბამბამ გზა ისწავლა საუკეთესო ბაზრისა, ფასმაც იმატა: ტფილისში ჩვენებური ბამბა იყიდებოდა ფუთი 19 მან. 50 კ.—20 მან.; იმერეთის ბამბა ფუთი 22 მანეთადაც. რაკი ასე იმატა ფასებმა, დაიწყეს თესვა ბამბისა, ვისაც-კი შეეძლო; თუ აქამდე იმერლები ბამბას მწირსა და უნაყოფო მიწაზედა სთესავდნენ, ახლა დიდად ნაყოფიერს ადგილებზედ სთესავენ. დიდ-ძალი ადგილი, რომელიც წინად ტყეს ეჭირა, გასწმინდეს და ბამბას დაუწყეს თესვა, ასე რომ 1864 წელს ხუთჯერ მეტი ადგილი ეჭირა ბამბის ნათესობას, ვიდრე წინა 1863 წელს. ამ გვარად, რაკი ფასი დაედო, იმერეთშიაც განხორციელდა და აღორძინდა ბამბის მოყვანის საქმე.

ამასობაში თავისუფლება დაიმკვიდრეს ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებმა და მშვიდობიანობა ჩამოვარდა. მხნემა და გამჭრიახე ამერიკელმა ხელახლად მოჰკიდა ხელი თავისს უწინდელს მეურნეობას, საქვეყნო ბაზრიდგან სხვა ქვეყნების ნაწარმოები გააძევა და დაიწყო ხელ-ახლად მეფობა ბამბის წარმოებაში. ბამბა გაიაფდა და როდესაც ჩვენს გლეხს მისი წარმოება ხელს აღარ აძლევდა, იმავე დროს ბამბის მოყვანა სიმდიდრის წყაროდ გადაიქცა ამერიკელის გლეხისათვის.

არ. ფირალოვი

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საფრანგეთში პალატამ გადააყენა სამსახურიდგან ფრეისინეს სამინისტრო და შეიწყნარა სამინისტრო ლუბესი. გარჩევა ამ ძველსა და ახალს სამინისტროს შორის-კი თითქმის არა არის-რა. მაშ რა იყო მიზეზი ერთის დათხოვნისა და მეორეს შეწყნარებისა?

მიზეზი გახლდათ საეკკლესიო საქმე. მოხდა ისე, რომ პალატასა და მთავრობას უნდა ეთქვა გარკვევითა და პირდაპირ, რა გვარი ურთიერთობა სუფევდეს საფრანგეთში ეკკლესიასა და სახელმწიფოს შორის. მთავრობამ სთქვა თავისი აზრი, პალატამ-კი არა სთქვა და კენჭის ჩამოტარებით ანდერძი აუგო ფრეისინეს სამინისტროს.

საფრანგეთის საპოლიტიკო ცხოვრების ვაგლახი და ბოროტი ის არის დღესაო, ამბობს ამ საგნის შესახებ გაზ. „Рус. Вѣд.“-ი, რომ საყურადღებო საქმეა გადასაწყვეტი და ქვეყანა-კი ბაიბურში არ არის და იმის ხალისიც-კი არა აქვს, რა ამბავია პალატაში, რად დაამხეს ერთი სამინისტრო და რად გააბატონეს მეორე, როცა ახალი სამინისტრო პირ-წავარდნილი ძველი სამინისტროა, მისი ცალი და ნაჭერია.

სარესპუბლიკო წეს-წყობილებას არ დაჰბრალდება ასეთი ამბავი. ინგლისში ამისთანას ვერასა ვნახავთ. სულ

---

კი მოასწრობს ამოსვლას, რომ ყველა ეს, რაც ეხლა დილის რიჟრაჟსა და განთიადს გაუნათებია, გაქრება ფრერენგასათვის... ხვალ, ზეგ, მერმის, ასის წლის შემდეგ მზე ისევ ისე გაანათებს მიდამოს... მაგრამ ის სულ სხვა იქნება... ფრერენგა ველარას ჰნახავს... და არცა ჰღირს... რაღად უნდა სასახლე, ბაღი, სიცოცხლე, როცა საყვარელს სატრფოს, ჯემშიდს ველარ იხილავს...

ფრერენგამ სარტყელიდგან ამოიძრო პატარა ბასრი ხანჯალი, რომელმაც ამომავალის მზის სხივზედ წითლად გაიელვარა. ერთი წამიც და ხანჯალი გაუპობს გადაღელილს, ბროლის გულ-მკერდს... ფრერენგა უცნაურმა ჟრჟოლამ აიტანა. თვალ წინ წარმოუდგა მკერდიდგან გადმოთქრიალებული სისხლი. ამ სისხლმა წითლად უნდა შეღებოს ის მშვენიერი, ბროლის გულ-მკერდი, რომელიც უკანასკნელ წამამდე ჯემშიდის სიყვარულით იყო განმსჭვალული ... ფრერენგამ დასძლია სისუსტე და ისევ აიღო ხელიდგან გავარდნილი ხანჯალი...

რაღაც შრიალი მოესმა და უშველებელი არწივი თავს გადააფრინდა. ფრერენგას თითქოს ძილისაგან გამოეღვიძა.

— გმადლობთ, წაიჩურჩულა ქალმა: შენ დამიხსენ ამ საზიზღარის სიკვდილისაგან, შენ მომაგონე, რომ სხვაფრივ შემიძლიან თავის მოკვლა, ისე რომ სისხლით არ შევღებო და არ დავასახიჩრო ის სახე, რომელიც თავ-დავიწყებით უყვარდა ჩემს ჯემშიდს.

ფრერენგა საჩქაროდ ჩავიდა იმ სარდაფში, სადაც დღისითაც-კი წყვდიადი და იდუმალი სიჩუმე სუფევდა. პატარა ჭრაქი მკრთალის შუქით ოდნავ ანათებდა სარდაფს. ფრერენგამ ოქროს თასი აიღო ხელში და გაავსო იმ უცნაურის სასმელით, რომელიც დიდი ხანი იყო აქ შენახული. მხოლოდ ეხლა მიხვდა ფრერენგა, თუ რად მოიტანა არწივმა ის მარცვლები. არწივმა იცოდა, რომ ეს უბედურება მოხდებოდა და უნდოდა საბრალო ფრერენგა სირცხვილისაგან გადაერჩინა.

— გმადლობ, გმადლობ, ორმუზდის ფრთოვანო მახარობელო! შენ მისტუმრებ ჩემს ჯემშიდთან!

ფრერენგამ მთელი თასი უსვენებლივ დასცალა. საწამლავმა სული შეუგუბა, რაღაც უცნაურმა ცეცხლმა გულ-ღვიძლი ჩაუთუთქა... კიდევ ერთი წამიც და ფრერენგა გამოეთხოვება აუტანელს წუთი-სოფელს... წყნარად დაეშვა სარდაფის ცივს იატაკზედ... ოქროს თასი გაუვარდა ხელიდგან და წკრიალით გაგორდა შორს, შორს... ფრერენგა აღარა ჰგრძნობდა თავისს უბედურებას, დარდი და ნაღველი მოსწყდა გულიდგან, თითქოს იმ ოქროს თასს გაჰყვაო... მაშ ასე ადვილი ყოფილა ადამიანის სიკვდილი?.. ნეტა აქამდის რად ეშინოდა სიკვდილისა?.. ფრერენგამ თვალები დახუჭა... ათასის ჰაწია ვერცხლის ზარის წკარუნი მოესმა, ვიღაც ფრთხილად არწევდა და ტკბილს ნანას ეუბნებოდა. ფრერენგა აღარაფერს არა ჰგრძნობდა... ყველა აერ-დაერია... აღარ ახსოვდა, რამდენი დრო გავიდა მას აქეთ, რაც ის საშინელი სასმელი დალია... ერთი საათი გავიდა მას აქეთ, თუ მთელი საუკუნე!.. ხანდახან მოეჩვენებოდა, ვითომ რაღაც სინათლე აშუქებდა, ხან ადამიანის ლაპარაკს მოჰკრავდა ყურს, მაგრამ ეს ლაპარაკი გამოურკვეველს ხმაურობას უერთდებოდა. უეცრად ჯემშიდის ხმა მოესმა:

— სად არის, სად? ოჰ, რატომ მეც არ მოვკვდი უკანასკნელს ბრძოლაში!

— ჯერ ცოცხალია, სუნთქავსო, მოესმა მეორე ხმა.

ერთი წუთიც კიდევ და ფრერენგამ მხურვალე კოცნა იგრძნო. თვალები გაახილა. გარშემო შეშინებულნი მსახურნი შემოჰხვევიან. თვით ჯემშიდი მტვერ-დაღებულის ტანისამოსით დაჩოქილი სდგას სატრფოს წინაშე და სიხარულისაგან ცრემლ-მორეული დასცქერის თავისს სიცოცხლეს, თავისს ფრერენგას... მაღლა ზეცაში, თვალ-მიუწდომელს სიმაღლეზედ, ჰაერში უშველებელი არწივი დასცურავს და იქიდგან დასცქერის ამ სურათს...

—

გავიდა საუკუნეები. ორმუზდის მახარობლის მიერ მოტანილი თესლი მთელს ქვეყანას მოეფინა. ხალხს აღარ ეშინიან იმ სასმელისა, რომელმაც ფრერენგა დააძინა. ეს სასმელი ეხლა სუფრას ამშვენებს, ადამიანის გულს ამხიარულებს და ჭირსა და ვარამს ავიწყებს. მაგრამ ბოროტმა არიმანმა ეს სასმელიც მოშხამა და ხანდახან, როცა ერთს წვეთს შხამს გაურევს აზარფეშაში, ლხინი ჭირად შეიცვლება და ღვთისაგან ნაკურთხი ზედაშე ალის-ფერ სისხლით შეჰღებავს ხოლმე ადამიანის ლხინით გატაცებულს გულს.

ა. იოსებიძე

მცირე საგანიც-კი მაშინვე აალაპარაკებს ქვეყანას და ორ დიდ დასად გაჰყოფს ხოლმე ერს. რომელ მხარეზედაც უმრავლესობა აღმოჩნდება, ბურთი და მოედანიც იმასა რჩება, საპოლიტიკო ასპარეზსაც იმას უცლიან და ულოცვენო.

ჩვენის აზრითაო, ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი: მიზეზი მკვიდრთა დაუდევნელობისა ფრიად დიდსა და საყურადღებო საქმეში—საფრანგეთის ისტორია უნდა იყოს, ის ისტორია, რომელმაც ფრანგთა ზნე-ჩვეულება იმ გზით არ განამტკიცა, რომ ერს მუდამ თვალ-ყური ეჭიროს თავის საქვეყნო საქმეებისათვის.

ეს არის მიზეზი, თუ სხვა რამ, იმ დაუდევრობისა და გულ-გრილობისა, რომელიც გამოიჩინა ერმა სამინისტროს კრიზისის დროს, ეგ სულ ერთია. საქმე ის არის, რომ ამ გულ-გრილობისა და დაუდევრობის გამოა გაბმული ის წვრილმანი საპოლიტიკო ბრძოლა, რომელიც ატეხილია პარლამენტში, და აი სწორედ ეს არის საშიში და სავაგლახ-საბოროტო.

როცა ძველს სამინისტროს გაუჭირდა საქმე, მაშინვე უნდა მოენდომებინა დათხოვნა პალატისა და დანიშვნა ახალის არჩევანებისა, რათა მით გაეგო, რა სწადიან თვით ერს საეკკლესიო საქმეების გამოვო. დაიწყეს კიდეც ამის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ, ეტყობა იმედი არავის არა ჰქონდა, რომ ერი გულ-დადებით მოეკცეოდა თავისს მოვალეობასა, და ამიტომ დღევანდელის პარლამენტის დათხოვნა არ მოხდა. დღევანდელი პარლამენტი-კი სამს ტოლ-ტოლ დასად არის გაყოფილი და მთავრობას მტკიცე უმრავლესობა არა ჰყავს, რომ იმას დაენდოს და იმით გაიმაგროს ფეხი. ამისთანა გარემოებაში, ცხადია, სამინისტროები პანტა-პუნტით გადმოცვივიან და მტკიცედ ვერც ერთი ვერ მოიკიდებს ფეხს, ვიდრე თვით ერი არ გამოიჩენს ხალისს საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობისას და ამისათვის ძლიერ მომხრეობას ან წინააღმდეგობას არ გაუწევს ამა თუ იმ აზრთა მიმდინარეობას, ამა თუ იმ საქმეთა განხორციელებასაო.

მანამდე-კი საპარლამენტო ბრძოლა მხოლოდ თითოეულის კაცის ცვლა იქნება, სწორედ ისე, როგორც დღეს კონსტანი გამოიცვალა, მის მაგიერ ლუბე ჩადგა, ხოლო სხვა მინისტრნი თითქმის ისევ წინანდელები დარჩენო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჟიულ ზიგფრიდმა და რამდენმამე მისმა ამხანაგმა ერთად პალატაში კანონ-პროექტი წარადგინეს, რომელსაც საგნადა აქვს მუშათათვის სახლების აშენების საქმის დახმარება. კანონ-პროექტის აზრით, ყოველს დეპარტამენტში, სადაც საჭირო იქნება, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტები ამ საგნისათვის. ერთი მესამედი კომიტეტის წევრთა პრეფექტმა უნდა აირჩიოს, ერთი მესამედი განსაკუთრებულმა საბჭომ და ერთი მესამედიც წარმომადგენლებმა საკოოპერაციო საზოგადოებათა, დამხმარებელ ასოციაციათა, საპენსიო კასსათა და სხვ.

კომიტეტებს სხვა-და-სხვა უფლება მიენიჭებათ და შეეძლებათ მოჰკიდონ ხელი და აწარმოონ ყოველივე საქმე თავიანთ საგნის შესახები—მოახდინონ გამოკვლევანი, დანიშნონ კონკურსები სახლების მშენებელთა და სხვ. და სხვ. ამ პროექტის მეორე ნაწილს საგნად ისა აქვს, რომ კრედიტი, ე. ი. საჭირო სესხი, იშოვოს სახლების ასაშენებლად. ამიტომ პროექტი ურჩევს, ნება მიეცით ზოგს საფინანსო დაწესებულებას: შემნახველს კასსას, საეროვნო საპენსიო კასსას, 1868 წ. დამაზღვეველს კასსას და სხვას, რომ სესხი მისცენ ხოლმე დეპარტამენტის კომიტეტებს სახლების ასაშენებლად. მუშის სახლობა, რომელიც მოიწადინებს ამ გზით სახლის შეძენას, ნაწილ-ნაწილ გადაიხდის ვალს და შემდეგ უვალო სახლი დარჩება საკუთრებად.

**საბერძნეთი.** ათინიდგან იუწყებიან, რომ სამინისტრო ყოველ დღე მუშაობს ახალის ბიუჯეტის შესადგენადაო. იმედი აქვთ, რომ სრულიად აიცილებენ საფინანსო კრიზისს, რაკი 10 მილიონის ყაირათს გასწევენ, თუმცა სამხედრო ხარჯის შემცირებაც-კი მოუხდებათ. დაწვრილებითს ცნობებს ამ საგნის შესახებ ჯერ არ იუწყებიან, მაგრამ დაბეჯითებით ამბობენ-კი, რომ აპრილისათვის კუპონებით გასაცემი ფული უზრუნველყოფილიაო. იმედი აქვთ, რომ პალატის დათხოვნა აღარ დასჭირდებათ, რადგან უმეტესობა, მომხრე დელიანისის სამინისტროსი, შუათანა დასს მიემხრობა.

## წვრილი ამბავი

ბუქარესტის ქალაქის მოურავი ძლიერ გამჭრიახე ჭკუის კაცი ყოფილა თურმე. არჩევანების წინა დღეებში აუარებელი წაღები უყიდნია ერთის ხარაზისაგან და ხმოსნებისათვის თითო წაღა დაურიგებია მარცხენა ფეხისა. თანაც გამოუცხადებია, რომ მარჯვენა ფეხის წაღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგირიგებთ, თუ ქალაქის მოურავად ამომირჩევთო.

— როსსინის ახალგაზრდა ნათესავმა ერთხელ სამგლოვიარო მარში შესთხზა და სთხოვა თურმე როსსინის, მე დავუკრავ და შენ ყური დამიგდე, გნახოთ როგორ მოგეწონებაო. როცა ახალგაზრდა მემუსიკემ თავისი შეთხზული მარში დაუკრა, როსსინიმ უთხრა: „საყვარელო მეგობარო, უნდა გამოგიტყდე, ისა სჯობიან, რომ შენ ჩემზედ ადრე მოკვდე და მე შეგთხზო სამგლოვიარო მარშიო".

— ერთხელ როსსინიმ გაიგონა, რომ სახლს წინ, ქუჩაში არღანა იმის სიმღერას უკრავდა. როსსინი ბაღში ჩავიდა და ყური დაუგდო. მერე ველარ გასძლო და როგორც იყო საშიხაო ხალათით, ისე გავიდა ქუჩაში, მეარღნეს არღანი გამოართვა და თითონ დაუკრა. „აი როგორ უნდა მაგ სიმღერის დაკვრაო", უთხრა როსსინიმ გაოცებულს მეარღნეს.

— „Temps"-ში დაბეჭდილია იმის ცნობები, თუ რამდენი შემოსავალი აქვს პარიჟის თეატრს. მარშან პარიჟის თეატრებს შემოუვიდათ 23.599,658 ფრანკი 88 სანტიმი. 1848 წლიდგან, ე. ი. 44 წლის განმავლობაში, პარიჟის თეატრებს 770.599,619 ფრანკი შემოსავალი ჰქონიათ, ე. ი. პარიჟელები დღეში 47,951 ფრანკსა ჰხარჯავენ თურმე თეატრისათვის.

— როცა როსსინი სამოც-და-თორმეტის წლისა იყო, ვიღამაც უთხრა თურმე, ჯერ კიდევ ყოჩაღი და მხნე ხარო.

„— მერე რა საკვირველია? მე მხოლოდ 18 ჯერ მიდღესასწაულნია ჩემი დაბადების დღეო. საქმე ის არის, რომ როსსინი 29 თებერვალს დაიბადა და, მაშასადამე, იმის დღეობა მხოლოდ ოთხს წელიწადში ერთხელ მოდიოდა.

— გამოჩენილი მწერალი ტეკკერეი ერთხელ სან-დუიში სადილობდა. უცებ ლაპარაკი მოესმა:

„— იცი, ეგ კაცი ვინ არის?

„— არა.

„— ეგ გამოჩენილი ტეკკერეია.

„— მერე რითია გამოჩენილი?

„— არ ვიცი, ღმერთმანი.

— ფრიდრიხ მეორემ ჰკითხა სასახლის მკურნალს, ციმმერმანს:

„— ექიმო, ბევრი კაცი გაგიმგზავრებიათ საიქიოს?

„— იმის მესამედიც არა, რამდენიც თქვენა, თქვენო უდიდებულესობავ, და ამასთან თქვენსავით სახელიც დიდად არა მაქვს განთქმული, მიუგო ციმმერმანმა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადო დ. ლანჩხუთში 2-რე გილდის ვაჭარს ზებურ მასარობელის ძეს ღლონტს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ მამათის წმ. იაკობის ეკკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი ზაირაღი, ღირებული 30 მანეთად, და ერთი ფრაჟეს სანაწილე, ტრაპეზზე დასადგმელი, ღირებული 5 მანეთად.

მამათის წმ. იაკობის ეკკლესიის მღვდელი
თევდორე ხელაძე.

## დეპეშა

7 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებისამებრ, მზრუნველობა დიდის მთავარის ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძისა მამის გარდაცვალების შემდეგ მიენდო მისს დედასა და დიდს მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს.

უმთავრესმა გამგე კომისიამ ჯარის გადაიარაღებისამ გადასწყვიტა, რომ შტატები მიემატოს იჟევსკის თოფებისა და ფოლადის სამზადებელს ქარხნებს, რადგან ამიერიდგან იქ ყოველ წლივ 600,000 მეტი ლულა უნდა მომზადდეს კოლოფებითურთო.

დიდი ჰერცოგი ჰესსენისა ერნსტ-ლიუდვიგი დაინიშნა შეფად დრაგუნთა მეთვრამეტე პოლკისა.

**ბერლინი.** გაზეთები ლაპარაკობენ: სამინისტრო კრიზისის გამო სურთ, რომ საერო განათლების მინისტრის გრაფ ზედლიცის მიერ სამსახურიდგან გადადგომით გამოწვეული კრიზისი მარტო იმისის გადადგომითვე გათავდესო.

„Norddeutsche Algemeine Zeitung"-ი აცხადებს, არ ვიცით, როგორ მიდის კრიზისიო.

„Vossische Zeitung"-მაც არ იცის, შეიწყნარეს თუ არა ზედლიცის სამსახურიდგან გადადგომა. „Kreuz Zeitung"-ი იმეორებს გუშინდელს ამბავს, რომ კანცლერმაც მიართვა თხოვნა სამსახურიდგან დათხოვნისაო. იმპერატორმა სამოქალაქო კაბინეტის უფროსი ლუკანუსი გაგზავნა გრაფ ზედლიცთან, რომ დაიყოლიოს და თხოვნა უკანვე წაიღებინოს. მინისტრს ზედლიცს შემდეგ იმპერიის კანცლერთანაც ჰქონდა მოლაპარაკება.

**პეტერბურგი.** „Край" იუწყება, გზათა სამინისტროში პროექტი მზადდება იმისი, რომ რკინის გზებზედ სრულიად მოისპოს ინსპექციაო.

**პარიჟი.** სამოსამართლო მთავრობა დარწმუნებულია, რომ გუშინ შეპყრობილმა ანარხისტებმა მოახდინეს აფეთქება ლობაუს ყაზარმებში იმ ანარხისტის თანამოზიარეობით, რომელიც აგრეთვე შეპყრობილია. პოლიციას შეატყობინეს სხვა ხუთის კაცის ვინაობა, რომელთაც სხვა-და-სხვა აფეთქება მოახდინეს. უეჭველია, რომ ამალამაც დააპატიმრებენ ანარხისტებს.

**ბერლინი.** „National zeitung"-ი ჰფიქრობს, კანცლერს კაპრივის თხოვნა არ წარუდგენია სამსახურიდგან დათხოვნისა, მხოლოდ გრაფ ზედლიცის მომხრეობა დააპირაო. ხოლო ეს გარემოება იძულებულ არა ჰყოფს, რომ ისიც სამსახურიდგან გადადგესო. კრიზისი იმან გამოიწვია, რომ ქვრივმა იმპერატრიცამ, ფინანსთა მინისტრმა მიკელმა და სამოქალაქო კაბინეტის უფროსმა ლუკანუსმა ჩააგონეს იმპერატორსაო. იმპერატორი ჯერ-ჯერობით არ აპირობს, კანცლერ კაპრივის სამსახურიდგან გადადგომა იყაბულოს; შემდეგში შეიძლება მინისტრ-პრეზიდენტად მიკელი დაინიშნოს. მინისტრ ზედლიცის სამსახურიდგან გადადგომა შეიძლება შეიწყნაროს იმპერატორმა. ამბობენ, რომ ზედლიცის ალაგას იმის ამხანაგს ვეირაუხს დანიშნავენო. მოსალოდნელია, რომ პრუსიის სეიმის დამთავრების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი გერფურტიც გადადგეს სამსახურიდგანაო.

იმპერატორი საზოგადოდ საკმაოდ ჯანმრთელადაა, მაგრამ მოსვენება-კი საჭირია. დღეს პრინცი ჰენრიხი წავიდა იმპერატორის სანახავად.

**ვაშინგტონი.** როგორც სამეურნეო დეპარტამენტის მარტის ანგარიშიდგანა სჩანს, 1890 წელს მთელს დედამიწაზედ ბამბა $1^1/_2$ მილ. ბარდანით იმაზედ მეტი მოსულა, რაც ბაზრისთვის საჭირო იყო, ხოლო 1891 წელს უფრო უმეტესი. ანგარიშში დარიგებაა მოქცეული, რომ სადაც ბამბის მოყვანას მისდევენ, იქ მეურნეობის სხვა რომელსამე დარგს უნდა მოჰკიდონ ხელი, რადგან ბამბის მოყვანის მიმდევრობა ველარ აცხოვრებს ხალხსაო.

8 მარტი

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროს გამგე აცხადებს, დიდის გარჩევითა და სიფრთხილით მოვეკიდებით კერძო საზოგადოებათა შუამდგომლობას მათს საზოგადოებებში გზათა ინჟენერების დანიშვნის შესახებ და ამის ნებას მხოლოდ იმ ინჟენერებს მივცემთ, რომელთაც უკვე დაუმსახურებიათ ყურადღება მთავრობისაო.

განსაკუთრებულს კომიტეტს 10,000 ფრანკი მოუვიდა რუმინიის მეფისაგან და ამას გარდა კიდევ სხვა შეწირულება 4—6 მარტს $57^1/_2$ ათასი მანათი. აქედგან 25,000 მან. ტვერის საგუბერნიო ერობამ შესწირა და 10,000 მ. კიევის საადგილ-მამულო ბანკმა.

**ლიბავა.** დღეს ქალაქი გაუმასპინძლდა ამერიკელს სტუმრებს და სადილი გაუმართა. როდესაც ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვეს, დიდი „ურა" დასძახეს და საერო საგალობელი დაუკრეს. ამერიკელმა ელჩმა კრაუფორდმა სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „ყოველივე, რაც ეხლა ამერიკელმა ერმა სიკეთე ჰქმნა, მცხრალადა და მკრთალად მოსჩანს იმ სამსახურთან, რომელიც რუსეთმა ამ 30 წლის წინად გაუწია შეერთებულს შტატებს იმითი, რომ თავისი ფლოტი გამოგზავნა ჩვენში, რათა დაეცვა ჩვენი ერთობა და დამოუკიდებლობა იმ დროს, როცა რამდენიმე სხვა სახელმწიფო აპირობდა ჩვენის დროშიდგან მოეწყვიტა ერთი უბრწყინვალესი ვარსკლავიო". დასასრულ კრაუფორდმა ხელი გაუწოდა გრაფს ბობრინსკის და უთხრა: „ინდიანათი" მოტანილს პურს თქვენ გაბარებთ, როგორც წარმომადგენელს რუსეთისასაო. გრაფმა ბობრინსკიმ უპასუხა: „მემკვიდრე ცესარევიჩმა, დიდად გულ-დადებულმა იმ მეგობრულისა და კაცთმოყვარე გრძნობით, რომელმაც ეს სიკეთე ჩაადენინა ამერიკელს ერს, დამავალა მადლობა გარდავუხადო მის მაგიერ ყველა შემომწირველს და მონაწილეს ამ დიდად ძმურ გრძნობათა განცხადების საქმისასაო.

**ბერლინი.** 25 და 26 თებერვალს მომხდარის უწესოების მონაწილეთაგანს სისხლის სამართლის პალატამ რვა კაცს სახელმწიფოს მშვიდობიანობის დარღვევისათვის გადაუწყვიტა დაპატიმრება 15—38 თთვით, ხოლო სხვებს უწესოების მოხდენაში მონაწილეობისათვის და მთავრობისა და პოლიციის წინააღმდეგობის გაწევისათვის დაპატიმრება 2—11 თთვით. ერთს შეპყრობილთაგანს მის უდიდებულესობისა და პოლიციის შეურაცხებისათვის მიესაჯა 2 წლით დაპატიმრება.

**ფილადელფია.** აქ კიდევ მოიტანეს პური რუსეთში გასაგზავნად. ამ პურს რუსეთში გემით „Conemaugh"-ით გაგზავნიან.

9 მარტი

**პეტერბურგი.** „Вѣстникъ Финансовъ" იუწყება, რომ ნება-დართულ იქმნა ბაჟის გარდუხდელად შემოიტანებოდეს სამზღვარ-გარეთიდამ რუსეთში ის საგნები, რომელიც შემოწირულია დამშეულთა სასარგებლოდ, უკეთუ შემოწირულებანი გამოგზავნილი იქნება ადგილობრივ გამგეობათა, საერო და საქველ-მოქმედო დაწესებულებათა სახელობაზეო.

ამ დღეებში დაიგზავნა ცირკულიარი გზათა სამინისტროსი იმ წესის შესახებ, რა წესითაც უნდა იქმნან მიცემულნი პასუხის გებაში რკინის გზის მოხელენი.

გაზეთები იუწყებიან, რომ ნება მიეცათ დედაკაცებსაც კერძო აფთიაქებში შეგირდად ყოფნისა, მხოლოდ იმ პირობით-კი რომ აფთიაქის გარეშე სცხოვრობდნენ და მარტო დღისით მიდიოდნენ იქ სამუშაოდ.

**პარიჟი.** გუშინ ტუნისში დიდის ამბით აკურთხეს საძირკველი ბერძენთ მართლ-მადიდებლის ეკკლესიისა. შემდეგ გამართულ იქმნა საუზმე, რომელზედაც დაილია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, ელლინთა მეფისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა.

